



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა
ჯგუფის დასკვნა
საერთაშორისო სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ჟაკს ლანარეს, ლოზანის უნივერსიტეტი, შვეიცარია

წევრები:

ზურაბ ალხანიშვილი, საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაცია, აღმოსავლეთ ევროპის
უნივერსიტეტი, საქართველო

ანა ზაცანკალაშვილი, სტუდენტი სტომატოლოგი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტი, საქართველო

ირმა მანჯავიძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
ია ფანცულაია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

2017 წელს ბათუმში დაარსებული, საერთაშორისო სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი (სსსუ) არის კერძო სამართლის იურიდიული პირი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. უნივერსიტეტს ფუნქციონირება ჯერ არ დაუწყია.

დამფუძნებლის გადაწყვეტილება, რომ დაეარსებინა უნივერსიტეტი უმთავრესად ეყრდნობოდა ბაზრის კვლევას და განათლების სფეროში მათ წინა გამოცდილებას.

საერთაშორისო სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტის ხედვაა, რომ 2025 წლისათვის გახდეს "აჭარის რეგიონში სამედიცინო განათლების პროფილის მქონე თანამედროვე და საერთაშორისოდ აღიარებული უნივერსიტეტი, რომელშიც შექმნილი იქნება სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობები, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთათვის; დაწესებულების მდგრადობა უზრუნველყოფილია და დაწესებულება თანმიმდევრულად რეაგირებს თანამედროვე გამოწვევებზე".

უნივერსიტეტის განვითარება ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას (2018-2025 წწ.), რომელზეც იმუშავა რექტორის მიერ შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან ერთად. მისი განხორციელება ხდება სამოქმედო გეგმის საშუალებით.

უნივერსიტეტი ფოკუსირებულია სწავლებაზე და შედგება ერთი ფაკულტეტისაგან (ჯანდაცვა).

უნივერსიტეტის მიზანია სამი საბაკალავრო პროგრამის შეთავაზება: ორი სტომატოლოგიაში (ერთი ქართულ და მეორე - ინგლისურ ენაზე) და ერთი პროგრამა - ფიზიკურ რეაბილიტაცია. სულ მოსალოდნელია 300 სტუდენტის ჩარიცხვა.

ამჟამად, პერსონალი შედგება 60 აკადემიური (18 აფილირებული პერსონალი (რომელთაგან 10 ასისტენტ პროფესორია) და 42 მოწვეული) და 30 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისაგან (ყველა არა არის დასაქმებული სრულ განაკვეთზე).

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

ვიზიტი ეფუძნებოდა უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშს, რომელიც რექტორის მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფთან თანამშრომლობით მოამზადა კონსულტანტებმა. კონსულტანტმა ანგარიშში შეიტანა სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ მიწოდებული (მაგ. ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის მიერ) კონკრეტული მონაცემები. ბაზრის კვლევა და SWOT ანალიზი გამოყენებული იქნა დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშისა და სტრატეგიული გეგმის მოსამზადებლად. საბოლოო ანგარიში განიხილა სამუშაო ჯგუფმა და დამტკიცდა მმართველი საბჭოს (რექტორი, კანცლერი, ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი და გარე კონსულტანტი) მიერ.

თვითშეფასების ანგარიში მოიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას. ანგარიში მოცულობითია (200 გვერდზე მეტი) და მოიცავს დანართებით გათვალისწინებული ინფორმაციის ნაწილს (ანუ, რიგი დანართებისა კოპირებულია დოკუმენტში). ანგარიშის ზოგიერთი ნაწილი სტილისტურად უფრო ახლოსაა კონსულტანტის სახელმძღვანელოსთან, ვიდრე თვითშეფასების ანგარიშთან, თუმცა სასარგებლო ინფორმაციას გვაწვდის.

თვითშეფასების ანგარიში ძირითადად აღწერილობითი ხასიათისაა, თუმცა ასევე მოიცავს ანალიტიკურ ნაწილსაც („ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები“) 7-ივე ძირითად სტანდარტთან მიმართებით.

დაწესებულებაში ვიზიტი იყო კარგად ორგანიზებული და ჯგუფმა მოახერხა 15 შეხვედრის ჩატარება შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან (რასაკვირველია, სტუდენტების გამოკლებით). გარდა ამისა, ვიზიტის ფარგლებში ორგანიზებული იყო პრაქტიკული სწავლების 7 ობიექტის (4 სტომატოლოგიური და 3 სარეაბილიტაციო) დათვალიერება.

ინტერვიუების დროს, დისკუსიები იყო ღია და სასარგებლო ექსპერტთა ჯგუფისთვის, რათა გაცნობოდნენ დაწესებულებას და მათ თვითშეფასების ანგარიშს. უნივერსიტეტის თანამშრომლები მზად იყვნენ გაეცათ ყველა ინფორმაცია და დამატებითი დოკუმენტაცია.

სტანდარტების შეფასებაზე აშკარად მოახდინა გავლენა ახალი უნივერსიტეტის, რომელიც ჯერ სრულად არ ფუნქციონირებს, სპეციფიკურმა კონტექსტმა. მართლაც, ზოგიერთ შემთხვევაში, ჯგუფმა ვერ შეძლო რეალური პრაქტიკის აღწერა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

- გადახედეთ მისიის ფორმულირებას, რათა იგი გახდეს უფრო ექსპლიციტური.
- დააზუსტეთ სამოქმედო გეგმაში ქვე-მიზნები და აქტივობები
- განსაზღვრეთ თითოეული მიზნისათვის ერთი პასუხისმგებელი პირი (თუნდაც მიზნის მიღწევა ითვალისწინებდეს თანამშრომლობას ან დელეგირებას)
- შეიმუშავეთ ღია და გამჭვირვალე დანიშვნა/არჩევის პროცედურები ყველა პოზიციისთვის
- განავითარეთ ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდოლოგიები და ინსტრუმენტები დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის საფუძველზე
- შეიმუშავეთ შესაბამისი, სანდო და განხორციელებადი მეთოდოლოგია სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მიზნით
- უზრუნველყავით ეთიკის კოდექსის ფართოდ გავრცელება და ხელმისაწვდომობა
- განსაზღვრეთ და ჩამოაყალიბეთ "ინტერესთა კონფლიქტის" ცნება;
- მოიძიეთ ინტელექტუალური საკუთრების მითვისებისა და პლაგიატის გამოვლენის ტექნოლოგიური საშუალებები, ნაცვლად ადამიანურ ფაქტორზე დაყრდნობისა
- პერსონალისათვის ნათელი უნდა იყოს ეთიკასა და აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული პრინციპები და უნდა ხდებოდეს პერსონალის მიერ ამ პრინციპების გათვალისწინება ყოველდღიურ აკადემიურ საქმიანობაში და ასევე, სტუდენტთა აკადემიურ ნაშრომებთან მიმართებით
- უზრუნველყავით საგანმანათლებლო პროგრამების დეტალური გაცნობა აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის
- გააუმჯობესეთ თანამშრომლობა დამსაქმებლებთან და უზრუნველყავით მათი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაში
- განიხილეთ პროგრამები და შესაბამისი სილაბუსები უნივერსიტეტის აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობით
- უზრუნველყავით პროგრამები შესაბამისი სამედიცინო სასწავლო ლიტერატურით

- შეფასეთ სწავლის შედეგები და შეიმუშავეთ კლინიკური პრაქტიკის შეფასების მეთოდები საბოლოო გამოცდისთვის
- შეიმუშავეთ აკადემიური პერსონალის მართვის ანალოგიური პროცესები ადმინისტრაციული პერსონალისათვის
- განავითარეთ კვლევით საქმიანობაში აკადემიური პერსონალის ჩართვის პირობები და შესაბამისი პროცესები
- უზრუნველყავით ყველა დოკუმენტის საჯაროდ ხელმისაწვდომობა უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე
- განახორციელეთ ყველა რეგულაცია (სტუდენტის სტატუსის მინიჭება, შეჩერება და შეწყვეტა, მობილობა, კვალიფიკაციის მინიჭება და განათლების აღიარება) გამჭვირვალედ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად
- ჩაატარეთ სტუდენტთა გამოკითხვები და გამოიყენეთ გამოკითხვის შედეგები შიდა ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით
- განახორციელეთ სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისები
- ყურადღება მიაქციეთ დასაქმების მაჩვენებელს, აკადემიურ განვითარებასა და მინიჭებულ კვალიფიკაციებს
- ჩართეთ უნივერსიტეტის დეპარტამენტები სტუდენტთა მიერ ინიცირებული პროექტებისა და კლასგარეშე აქტივობების განხორციელებაში
- მოამზადეთ დეტალური და თანმიმდევრული მიდგომა კვლევით აქტივობებთან მიმართებით, რომელიც შესაბამისობაში იქნება უნივერსიტეტის მისიასთან და ხედვასთან
- განსაზღვრეთ უნივერსიტეტის კვლევის ფოკუსი და პრიორიტეტები
- მოახდინეთ ფოკუსირება კვლევით აქტივობებზე; ასევე, საჭიროა ფაკულტეტის განვითარების ფარგლებში უზრუნველყოთ კვლევის ხელმძღვანელებისა და კვლევითი ნაშრომების შეფასებაში ჩართულ პირთა მომზადება და მენტორობა
- დაარსეთ და განავითარეთ კვლევითი ლაბორატორიები სტუდენტებისთვის
- უზრუნველყავით, რომ ყველა კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს კვლევითი აქტივობები
- უზრუნველყავით კვლევის შედეგების ინტეგრირება სწავლების პროცესში
- დაამყარეთ ახალი თანამშრომლობა კვლევით ინსტიტუტებთან და სხვა უნივერსიტეტებთან
- დაარსეთ კვლევების დამხმარე ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს კვლევითი ინიციატივების დაფინანსებას, სამართლიანი და გამჭვირვალე გზით.
- მოიძიეთ გარე პარტნიორები (ადგილობრივი და საერთაშორისო) გარე დაფინანსების მოპოვების მიზნით (მაგ. ჰორიზონტი 2020 (Horizon 2020)) კვლევით სფეროში დამკვიდრებისთვის
- გაზარდეთ კვლევითი აქტივობების მხარდამჭერი ღონისძიებები აკადემიური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით
- შეიმუშავეთ სტრატეგიული მიდგომა აკადემიური პერსონალისთვის კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული მიზნობრივი დაფინანსებისა და რესურსების გამოყოფის მიზნით
- მოამზადეთ მკვლევარები საკვლევი კითხვის ფორმულირების, მეთოდოლოგიის განსაზღვრისა და მონაცემთან ანალიზის მიმართულებით
- შეიმუშავეთ კვლევის განვითარების თანმიმდევრული სტრატეგია და შეფასების მექანიზმები

- შეიმუშავეთ სტრატეგიული მიდგომა კვლევის დაფინანსებასთან მიმართებით კვლევითი საკითხებისა და არსებულ რესურსების გათვალისწინებით
- შეიმუშავეთ კვლევითი პროექტის შეფასების წესი
- უზრუნველყავით ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება და ტრენინგი კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით
- უნივერსიტეტმა უნდა დასახოს პრიორიტეტები კვლევაში მისი სტრატეგიისა და ინსტიტუციური პოლიტიკის შესაბამისად - ეს შესაძლებელია გაკეთდეს სხვა უნივერსიტეტების პრაქტიკის გაზიარების გზით
- გააფართოვეთ საბიბლიოთეკო სივრცე
- გააკეთეთ შენობის ორივე სართულზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სპეციალურად ადაპტირებული სანიტარული კვანძები
- გაზარდეთ ფინანსური დახმარება ბიბლიოთეკისთვის, რათა ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარებას დაწესებულებაში
- შეიძინეთ წიგნების უახლესი გამოცემები, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად
- ჩაატარეთ კვლევები სტუდენტთა საჭიროებების გამოსავლენად საბიბლიოთეკო რესურსებთან დაკავშირებით
- განავითარეთ IT ინფრასტრუქტურა სრულად, გეგმის შესაბამისად
- გაზარდეთ ბიბლიოთეკის ბიუჯეტი და დაფინანსება კვლევითი პროგრამებისთვის

რჩევები

- სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლობისა და კოორდინირების პროცესები გახადეთ უფრო ფორმალური, სტრატეგიული გეგმის განხორციელებასთან მიმართებით.
- სტრატეგიული გეგმის სრულყოფილად განხორციელებასთან მიმართებით, მოახდინეთ რესურსების დიფერენცირება ქვე-მიზნების დონეზე, რათა ფორმულირდეს უფრო დეტალური ხედვა საჭირო რესურსებზე.
- გააძლიერეთ საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამების ინტერნაციონალიზაცია.
- შეიმუშავეთ უფრო გლობალური ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის კონცეფცია, რომელიც მოიცავს ხარისხის კულტურასა და მხარდაჭერ მექანიზმებს
- განიხილეთ დაჯილდოების ზოგიერთი ფორმის/სამოტივაციო ფაქტორების დანერგვის საკითხი. მათ შორის ისეთი საკითხები, რომლებიც არ უკავშირდება ფულად ანაზღაურებას.
- შეიმუშავეთ ახალი პერსონალის მოზიდვის სტრატეგიები
- გაზარდეთ პერსონალის მოტივაცია აფილირების მიზნით
- გააუმჯობესეთ მომსახურების ხარისხი სტუდენტ-მენტორთა "Help Desk" და ფსიქოლოგიური კონსულტაციის მომსახურების განხორციელებით. განახორციელეთ ყველა მხარდაჭერის სერვისი დაბალი სოციალ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის და გაანალიზეთ სტატისტიკური მონაცემები
- დანერგეთ ტექნოლოგიები სწავლების პროცესში, რადგან ეს დამატებითი პედაგოგიური ღირებულების მატარებელია

- დანერგეთ კარგად დამკვიდრებული პლატფორმები (მაგ. Moodle) სწავლების პროცესში

საუკეთესო პრაქტიკები

- კარგად შემუშავებული ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტი
- დეტალური და კარგად ორგანიზებული სამუშაოს აღწერილობები
- პრაქტიკის განხორციელების მიზნით, კავშირები დარგის წარმომადგენლებთან

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემოჯამებული ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაშია
1	უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
1.1	უსდ-ს მისია	☐	☒	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☒	☐
2.	უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☒	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☒	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☒	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☒	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☒	☐
4	უსდ-ის პერსონალი	☐	☒	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☒	☐
5	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილების, განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☒	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☒	☐
6	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☐	☐	☒

6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☐	☒
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☒	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☐	☒
7	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☒	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები


1. ჟაკს ლანარეს (თავმჯდომარე)



2. ირმა მანჯავიძე (წევრი)




3. ია ფანცულაია (წევრი)



4. ზურაბ ალხანიშვილი (წევრი)



5. ანა ბაცანკალაშვილი (წევრი)



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია

უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საერთაშორისო სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტის (სსსუ) მისია განსაზღვრულია საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ (კერძოდ, მუხლი 3) და უნივერსიტეტის წესდების (კერძოდ, მუხლები 4 და 6) შესაბამისად.

უნივერსიტეტის მისიას, როგორც ეს აღნიშნულია მის განაცხადში, წარმოადგენს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე სპეციალისტების მომზადება. ამისათვის, საერთაშორისო სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი მიზნად ისახავს სტუდენტებისათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო განათლების მიცემას, რაც მათ პროფესიონალებად ჩამოაყალიბებს. მისიაში ასევე გაცხადებულია საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა ცოდნის გავრცელებისა და განვითარების გზით.

საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა უნივერსიტეტის წესდებაში გაცხადებულია რიგი ღირებულებებით, როგორიცაა მაგალითად "ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე" ან "სოციალური ჩართულობა" (სსსუ-ს წესდება, მუხლი 8). წესდებაში მითითებული სხვა ღირებულებები, როგორებიცაა მაგალითად „თანაბარი შესაძლებლობები“, „მრავალფეროვნება“, „ღიაობა“ ან „გამჭვირვალობა“, რაც შესაბამისობაშია უნივერსიტეტის პასუხისმგებლობასთან მხარი დაუჭიროს ხალხისა და საზოგადოების განვითარებას.

საერთაშორისო სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტის მისია ძირითადად განსაზღვრავს მის პროფილს სამედიცინო განათლებისა და პროფესიული განვითარების მხრივ. უნივერსიტეტის კვლევის ამბიციები, ისევე როგორც მესამე მისიასთან დაკავშირებული საკითხები, არ არის გამოკვეთილი მისიის განაცხადში და რჩება უფრო გლობალური.

მისია შეიმუშავა რექტორის მიერ შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა. ჯგუფმა გაითვალისწინა კვლევის შედეგები, რომელიც მოიცავდა დასაქმების ბაზარის კვლევასაც.

მისიის ამჟამინდელი ფორმულირება უფრო წარმოადგენს იდეებისა და პრინციპების ერთობას, ვიდრე თანმიმდევრულ გლობალურ პროექტს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. საერთაშორისო სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტის წესდება (თვითშეფასების დანართი 1.2)
2. ინტერვიუები ხელმძღვანელებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და პერსონალთან.
3. საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ"

რეკომენდაციები:

• გადახედეთ მისიის ფორმულირებას, რათა იგი გახდეს უფრო ექსპლიციტური.
რჩევები
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
- o უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). - o უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. - o უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: საერთაშორისო სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მისიის შესაბამისი სრულყოფილი სტრატეგიული გეგმა მომავალი 7 წლისთვის (2018-2025 წწ). გეგმა მოამზადა რექტორის მიერ შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა. სამუშაო ჯგუფის წევრებმა გეგმა დააფუძნეს ბაზრის კვლევისა და SWOT ანალიზის შედეგებს. სტრატეგიული გეგმა განხილული იქნა რამდენიმე შიდა და გარე დაინტერესებულ მხარესთან. რექტორმა დაამტკიცა საბოლოო ვერსია. სამომავლოდ, უნივერსიტეტის წესდების მიხედვით, სტრატეგიული ხედვის შემუშავებაში ჩართულნი იქნებიან სხვადასხვა აქტორები, როგორცაა აკადემიური საბჭო, შემდგარი რექტორის, ფაკულტეტის წარმომადგენლების (პროფესორების), სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტისა და მმართველი საბჭოსაგან. სტრატეგიული გეგმა შედგება 5 ძირითადი სტრატეგიული მიზნისა და 24 ქვე-მიზნისაგან. ეს მიზნები მოიცავს უსდ-ს ფუნქციონირების ძირითად ასპექტებს. კერძოდ, ინსტიტუციურ განვითარებას (#2, #5), ხარისხის უზრუნველყოფას (#2.2), საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვას და განხორციელებას (#3.1, 3.2, 3.3), ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს (#2.1, 2.3, 2.4), ინფრასტრუქტურას (#5) და ინტერნაციონალიზაციას (#4). თუმცა, სტრატეგიულ გეგმაში არაა გათვალისწინებული კვლევა და შემოქმედებითი აქტივობები. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია და სრულ შესაბამისობაშია სტრატეგიულ გეგმასთან. ვადები, პასუხისმგებლობები და შესრულების ინდიკატორები იდენტიფიცირებულია. პასუხისმგებლობები განსაზღვრულია სპეციფიკური კომპეტენციების შესაბამისად. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ერთზე მეტი პიროვნება ან სტრუქტურული ერთეულია იდენტიფიცირებული პასუხისმგებლად (რამაც შესაძლოა შექმნას განხორციელებასა და შეფასებასთან დაკავშირებული სირთულეები). ზოგიერთ შემთხვევაში "აქტივობები" უფრო ქვე-მიზნებია, ვიდრე აქტივობები (მაგ. ამოცანა 3.4, აქტივობა 3: "აკადემიური პერსონალის კვლევის პოტენციალის გაძლიერება"). ასევე, შესრულების ვადები მოიცავს რიგ წლებს (ზემოთ მოყვანილ მაგალითში "2019-2021 წწ"). თითოეული ამოცანის შესრულების მიზნით მითითებულია შესაბამისი ფინანსური რესურსები (რაც, რასაკვირველია, ასევე ასახულია მთლიან ბიუჯეტში), თუმცა სამოქმედო გეგმა არ მოიცავს საჭირო რესურსების უფრო დეტალურ ანალიზს. სამოქმედო გეგმის განხორციელებას, კანცლერი კოორდინირებს ჩართულ მხარეებთან პირადი შეხვედრებით (შეხვედრების სიხშირე დამოკიდებულია პიროვნებაზე). ინტერვიუების დროს ჯგუფმა დაინახა, რომ ზოგიერთ სტრუქტურულ ერთეულს არ გააჩნდა გლობალური კოორდინაციის პროცესის მკაფიო ხედვა, კერძოდ, სამოქმედო გეგმის

განხორციელებასთან მიმართებით.

დაწესებულებას აქვს სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განხორციელების მონიტორინგის მეთოდოლოგია.

მეთოდოლოგია ემყარება დარგში არსებულ გამოცდილებას და შესაბამისობაშია PDCA ციკლთან. მონიტორინგის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართულია. თითოეული სტრუქტურული ერთეული წარმოადგენს შესრულებული აქტივობების შესახებ ანგარიშს და რექტორს აქვს უფლებამოსილება განხორციელოს ცვლილებები საჭიროების შემთხვევაში.

აქედან გამომდინარე, მექანიზმები არსებობს, თუმცა ზემოაღწერილი პროცესი ჯერ სრულად არ ფუნქციონირებს. არსებობს სამოქმედო გეგმის მოდიფიცირების მაგალითები, რომელიც გარე დაინტერესებულ მხარეებთან უკუკავშირის შედეგია (მაგ. ტრენინგების განხორციელება), თუმცა ამ ციკლის ფუნქციონირება ჯერჯერობით შეფასებადი არ არის.

სტრატეგიულ გეგმაში (#1.5, #3.5) ან სამოქმედო გეგმაში (მაგ. ამოცანა 1.2) ასახულ ზოგიერთ აქტივობას წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გადაცემაში (მაგ. უწყვეტი განათლება).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. თვითშეფასების ანგარიში
2. უნივერსიტეტის წესდება (დანართი 1.2)
3. სტრატეგიული გეგმა (დანართი 1.4)
4. სამოქმედო გეგმა (დანართი 1.5)
5. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია (დანართი 1.6)
6. ბიუჯეტი (დანართი 1.7)
7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (დანართი 2.6)
8. ინტერვიუს შედეგები (კერძოდ, ხელმძღვანელობასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ხელმძღვანელებთან).

რეკომენდაციები:

- დააზუსტეთ სამოქმედო გეგმაში ქვე-მიზნები და აქტივობები
- განსაზღვრეთ თითოეული მიზნისათვის ერთი პასუხისმგებელი პირი (თუნდაც მიზნის მიღწევა ითვალისწინებდეს თანამშრომლობას ან დელეგირებას).

რჩევები:

სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლობისა და კოორდინირების პროცესები გახადეთ უფრო ფორმალიზებული, სტრატეგიული გეგმის განხორციელებასთან მიმართებით.

სტრატეგიული გეგმის სრულყოფილად განხორციელებასთან მიმართებით, მოახდინეთ რესურსების დიფერენცირება ქვე-მიზნების დონეზე, რათა ფორმულირდეს უფრო დეტალური ხედვა საჭირო რესურსებზე.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- o უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.
- o უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.
- o უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.
- o უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ორგანიზაციული სტრუქტურა, სტრუქტურული დეპარტამენტები, ფუნქციებისა და მოვალეობების დელეგირება უსდ-ს აძლევს შესაძლებლობას, რომ განახორციელოს სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული აქტივობები. უნივერსიტეტი წარმოდგენილია ახალგაზრდა, კარგად განათლებული, გამოცდილი და მოტივირებული ადამიანებით, რაც ექსპერტთა ჯგუფს აძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ უნივერსიტეტი შეძლებს საქმიანობის წარმატებით წარმართვას; თუმცა, არაა შემუშავებული ადმინისტრაციულ პოზიციებზე პერსონალის შერჩევა/დანიშვნის პროცედურები. უნივერსიტეტი ნერგავს თანამედროვე ტექნოლოგიებს, რაც მას დაეხმარება წარმატებულ ფუნქციონირებაში. საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა შემუშავებულია და საცდელი ვერსიის დანერგვა დაგეგმილია 2019 წლის თებერვლისთვის. დღეისათვის საქმისწარმოება ხორციელდება მატერიალური სახით, არსებული ინსტრუქციების მიხედვით. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და განვითარების პოლიტიკა შემუშავებულია. ბიზნესუწყვეტობის უზრუნველსაყოფად, უსდ-ს შემუშავებული აქვს სათანადო გეგმა. გეგმა ითვალისწინებს ყველა შესაძლო რისკს, მათი პრევენციის მექანიზმებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი პრევენცია შეუძლებელია, უსდ-ს აქვს რისკის შემცირების სტრატეგია. დამფუძნებლებთან და ხელმძღვანელობასთან ინტერვიუს დროს, მათ განაცხადეს, რომ დაუგეგმავი ხარჯების ან ფინანსური რისკების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ფინანსური გარანტორი იქნება დაწესებულება "განათლების აკადემია", რომელიც საერთაშორისო სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტის დამფუძნებელია.

საერთაშორისო სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტის მიზნების შესაბამისად, მის ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს საერთაშორისო კავშირები, აკადემიური პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში, სტუდენტთა მობილობის უზრუნველყოფა და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება.

საერთაშორისო აქტივობების მხარდაჭერის მიზნით შექმნილია სპეციალური დეპარტამენტი. დაწესებულების წარმომადგენლებმა ვიზიტისას განაცხადეს, რომ ამჟამად, უნივერსიტეტი მუშაობს საერთაშორისო პარტნიორების მოძიებასა და მათთან საქმიანი ურთიერთობების დამყარებაზე.

სტრატეგიული გეგმა მოიცავს ინტერნაციონალიზაციის მიზნებს (#4), რომლებიც ფორმულირებულია გლობალურად. შესაბამისად, ინტერნაციონალიზაციის კონკრეტული

მიზნები, ისევე, როგორც სტრატეგიული ამოცანები და გეგმები უნდა იქნას შემუშავებული, რათა უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს საერთაშორისო სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტის მისწრაფებები. ამ მიზნით და საერთაშორისო დონეზე, უნივერსიტეტის ამბიციების გათვალისწინებით, ცალკე დოკუმენტის შემუშავება უნივერსიტეტისთვის იქნება სასარგებლო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. უსდ-ს სტრუქტურა;
2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები;
3. საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის წარმოების სისტემა;
4. დოკუმენტაციის წარმოების წესები;
5. მართვის ეფექტურობისა და შეფასების სისტემის მონიტორინგის მექანიზმები;
6. ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა;
7. საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმები და ინტერნაციონალიზაცია და მათი ეფექტიანობის შეფასება;
8. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება - დანართი 2.8.
9. გასაუბრების შედეგები; აღმასრულებელი საბჭო, რექტორი, თვითშეფასების გუნდი, ადმინისტრაციული და ფინანსური სამსახურის, IT დეპარტამენტის, საერთაშორისო ურთიერთობების, საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურების ხელმძღვანელები, საქმისწარმოების ოფისის წარმომადგენლები.

რეკომენდაციები:

- შეიმუშავეთ ღია და გამჭვირვალე დანიშვნა/არჩევის პროცედურები ყველა პოზიციისთვის

რჩევები:

გააძლიერეთ საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამების ინტერნაციონალიზაცია.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- o უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- o უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს საფუძვლად უდევს "შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა". ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს ამ პოლიტიკის განხორციელებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი მუშაობს სრულ განაკვეთზე (თუმცა ცხოვრობს თბილისში). ხარისხის უზრუნველყოფის გუნდი შედგება სამსახურის ხელმძღვანელისაგან, კონსულტანტისა და ადმინისტრაციული პერსონალისაგან (ყველა სრულ განაკვეთზე). ხარისხის კონცეფცია ემყარება ISO-ს მიდგომასა და PDCA ციკლს. ისინი განიხილება უნივერსიტეტის სტრატეგიასთან კავშირში, ვინაიდან დაწესებულების მართვის ძირითადი ერთეულები ჩართულნი არიან ამ პროცესებში. ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია შემუშავებული იქნა კონსულტანტის მიერ და განხილული იქნა უნივერსიტეტის

ხელმძღვანელობასთან. ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო წარედგინა უნივერსიტეტის პერსონალს; კონცეფციასა და ინსტრუმენტებზე ცოდნის გავრცელების მიზნით დაწესებულება გეგმავს ტრენინგის ორგანიზებას.

ზოგადი კონცეფციის მიხედვით, დაწესებულებაში უნდა ჩატარდეს 13 კვლევა და შეფასება, რომლებიც მოიცავს ძირითად სფეროებს (როგორებიცაა პროგრამები, სტუდენტების ან დამსაქმებლების კმაყოფილება, პერსონალის შეფასებები). შიდა ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტზე დაყრდნობით, დაგეგმილი შეფასებების სია არ მოიცავს ადმინისტრაციულ ერთეულებს.

უნივერსიტეტის აქტივობების ხარისხის შეფასების მიზნით (რაც უნდა მოიცავდეს ყველა სტრუქტურულ ერთეულს), ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი აღწერს რაოდენობრივ და თვისებრივ ინდიკატორებზე დაფუძნებულ 30-მდე კვლევას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაინახა ინსტრუმენტები, რომლებიც გამოყენებული იქნება ამ მიზნით (თუმცა, IT დეპარტამენტი მზადაა გამოკითხვების ჩასატარებლად). ზოგიერთი შეფასების მეთოდოლოგია ჯერ კიდევ არაა მკაფიო (მაგ. აკადემიური პერსონალის შეფასება).

ასევე, სტრუქტურული ერთეულების შეფასების მეთოდები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, თუმცა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციით, სტრუქტურული ერთეულები შეფასდება იმის მიხედვით, თუ როგორ ბმავია სტრუქტურული ერთეულის გეგმები და წლიური ანგარიშები დაწესებულების სტრატეგიულ გეგმასთან.

სამოქმედო გეგმაში ასახულ ზოგიერთ აქტივობას (მოცემულია ამოცანა 2.2-ში) წვლილი შეაქვს ხარისხის განვითარებაში და ამ მხრივ, ხაზს უსვამს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ნებას.

ხარისხის პოლიტიკაში აღწერილი მექანიზმების სწორად გამოყენების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება ინსტიტუციური აქტივობებისა და რესურსების უწყვეტი შეფასება და განვითარება.

ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტში აღწერილი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა საკმაოდ ყოვლისმომცველია, თუმცა ძირითადად ფოკუსირებულია პროცედურებზე და ნაკლებად ეხება ხარისხის კულტურის ცნებას, რაც დღეისათვის წარმოადგენს ევროპული სტანდარტების (ESG 2015) შემადგენელ ნაწილს. დღეისათვის, ხარისხის უზრუნველყოფა საკმაოდ მკაცრადაა ცენტრალიზებული. ხარისხის კულტურის განვითარების მიზნით, სასარგებლო იქნებოდა პასუხისმგებლობების დეცენტრალიზაცია.

იქვე, ხარისხის პოლიტიკა აღწერს ძირითადად შეფასებისა და ცვლილებების პროცესებს, თუმცა კონცეფცია ცხადად არ მოიცავს ხელშეწყობის მექანიზმებს (ტრენინგი, კონსულტირება და სხვ.).

უნივერსიტეტის წესდებისა და შიდა ხარისხის პოლიტიკის თანახმად, ხელმძღვანელობას შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებზე დაყრდნობით. თუმცა, ახლახან დაარსებული უნივერსიტეტის კონტექსტიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს არ შეუძლია ამ ასპექტის დოკუმენტირება.

საერთაშორისო სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია (ისევე, როგორც აკადემიური პერსონალის). მეთოდოლოგია აღწერილია პროცედურაში და განსაზღვრავს გასათვალისწინებელ ცვლადებსა და თანაფარდობებს.

პროცედურის მიხედვით, რექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი განსაზღვრავს სტუდენტთა კონტინგენტის რაოდენობას, რასაც შემდგომ ამტკიცებს აკადემიური საბჭო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი არსებული ფორმულით არ არის კმაყოფილი და გეგმავს, მეტი ინფორმაციის შეგროვებასა და შესაბამისი ცვლადების იდენტიფიცირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. თვითშეფასების ანგარიში

2. შიდა ხარისხის პოლიტიკა (დანართი 2.20) 3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (დანართი 2.6) 4. სამოქმედო გეგმა (დანართი 1.5) 5. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი (დანართი 2.21) 6. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შიდა თვითშეფასების ანგარიში (დანართი 2.22) 7. სტუდენტური კონტინენტის და აკადემიური პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია (დანართი 2.23) 8. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის, დანიშვნის წესი (დანართი 2.29) 9. ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების ფორმ 10. ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • განავითარეთ ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდოლოგიები და ინსტრუმენტები დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის საფუძველზე • შეიმუშავეთ შესაბამისი, სანდო და განხორციელებადი მეთოდოლოგია სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მიზნით
რჩევები: შეიმუშავეთ უფრო გლობალური ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის კონცეფცია, რომელიც მოიცავს ხარისხის კულტურასა და მხარდამჭერ მექანიზმებს
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): კარგად შემუშავებული ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტი
შეფასება ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.3.ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
- o უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია. - o უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. - o უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშისა და სხვა წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, უნივერსიტეტის მუშაობა ეფუძნება ავტონომიის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს, ასევე, უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის აკადემიურ თავისუფლებას, ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოს სწავლებისა და მუშაობისათვის. უნივერსიტეტი აცხადებს, რომ შემდეგი ღირებულებები უაღრესად მნიშვნელოვანია: სამართლიანობა; გამჭვირვალობა; მიუკერძოებლობა; თანასწორუფლებიანობა; ღიაობა; აკადემიური კეთილსინდისიერება; პროფესიონალიზმი; საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულება. ეთიკასა და აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე. თუმცა, ვიზიტის დროს დოკუმენტებთან წვდომა და ჩამოტვირთვა შეზღუდული იყო პაროლით.

ეთიკის კოდექსი არ არეგულირებს ინტერესთა კონფლიქტს (მაგალითად, აფილირება პუბლიკაციებისათვის ან განსაკუთრებული ურთიერთობა დაინტერესებულ მხარეებთან), მაშინ როცა დაწესებულებას ჰყავს პერსონალი, რომელთაც დაკავებული აქვთ პოზიციები სხვადასხვა უსდ-ში. უნივერსიტეტი არ განსაზღვრავს თუ რა სიტუაციები განიხილება როგორც ინტერესთა კონფლიქტი. შესაბამისად აკადემიური სფეროს წარმომადგენლები თავად განსაზღვრავენ იმას, იმყოფებიან თუ არა მსგავს სიტუაციებში და იმასაც, თუ რა მექანიზმები უნდა იქნას გამოყენებული. მეტიც, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი არ იცნობს ეთიკურ რეგულაციებს და თუ როგორ ხდება მათი განხორციელება.

უნივერსიტეტის რეგულაციები განსაზღვრავს პლაგიატიზმს, მიუღებლობასა და არაადეკვატურ ქმედებებს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ. კერძოდ, "...უნივერსიტეტის თანამშრომელმა, განსაკუთრებით მისმა აკადემიურმა პერსონალმა, ასევე უნდა იცოდეს, რომ უნივერსიტეტში მაღალი დონის განათლება და კვლევა წარმოუდგენელია აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის გარეშე..“

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პლაგიატიზმი შესაძლებელია განისაზღვროს როგორც:

- "ა) სტუდენტის მიერ სხვისი ინტელექტუალური ნაშრომის მითვისება;
- ბ) სხვა პირის ნაშრომის, ან მისი ნაწილის პრეზენტაცია საკუთარი სახელით;
- გ) ვინმეს ნაშრომის გამოყენება წესით დადგენილი ციტირების გარეშე".

მიუხედავად ამისა, ამჟამად, უნივერსიტეტს არ გააჩნია სპეციალური პროგრამა პლაგიატიზმის გამოსავლენად და გეგმა თუ როგორ უნდა მოხდეს მისი გამოყენება.

დაწესებულება იზიარებს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს და ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრების დროს აკადემიური თავისუფლებისათვის ხელის შეშლის რაიმე მტკიცებულებები არ გამოვლენილა.

უნივერსიტეტი გეგმავს სტომატოლოგიის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის პროგრამებზე სტუდენტების მიღებას; თუმცა დაწესებულებაში ამჟამად არ არსებობს ბიოეთიკის კომიტეტი სამედიცინო სფეროსთან დაკავშირებული კითხვებისა და საკითხების შეფასებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. უნივერსიტეტის წესდება (დანართი 1.2)
2. პერსონალის მართვის პოლიტიკა (დანართი 2.2)
3. ეთიკის კოდექსი სტუდენტებისათვის (დანართი 2.24)
4. უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი (დანართი 2.25)
5. სასწავლო პროცესის რეგულირების წესები (დანართი 2.26)
6. სტუდენტა ხელშეკრულების ნიმუში (დანართი 2.27)
7. პერსონალთან დადებული ხელშეკრულების ნიმუში (დანართი 2.28)
8. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის/დანიშვნის წესი (დანართი 2.29)
9. ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- უზრუნველყავით ეთიკის კოდექსის ფართოდ გავრცელება და ხელმისაწვდომობა
- განსაზღვრეთ და ჩამოაყალიბეთ "ინტერესთა კონფლიქტის" ცნება;
- მოიძიეთ ინტელექტუალური საკუთრების მითვისებისა და პლაგიატის გამოვლენის ტექნოლოგიური საშუალებები, ნაცვლად ადამიანურ ფაქტორზე დაყრდნობისა
- პერსონალისათვის ნათელი უნდა იყოს ეთიკასა და აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული პრინციპები და უნდა ხდებოდეს პერსონალის მიერ ამ პრინციპების გათვალისწინება ყოველდღიურ აკადემიურ

საქმიანობაში და ასევე, სტუდენტთა აკადემიურ ნაშრომებთან მიმართებით
რჩევები
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუმჯობესების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ამ ეტაპზე უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამი საგანმანათლებლო პროგრამა: ერთსაფეხურიანი პროგრამა "დიპლომირებული სტომატოლოგის" კვალიფიკაციის მინიჭებით (ქართულ და ინგლისურ ენებზე) და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია". საგანმანათლებლო პროგრამა შეიქმნა ავტორიზაციის პროცესის პარალელურად.

შრომის ბაზრის კვლევამ, ერთის მხრივ, გამოავლინა, რომ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებზე არსებობს მოთხოვნა. კვლევის შედეგები გახდა დაწესებულებისთვის საგანმანათლებლო აქტივობების ინიცირების საფუძველი.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლამ ცხადყო, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების, ცვლილებების შეტანისა და შეწყვეტის რეგულაციები და შესაბამისი პროცედურები. დოკუმენტის თანახმად, პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება არის თანამონაწილეობითი პროცესი, რომელიც მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს. როგორც ეს თვითშეფასების ანგარიშშია მითითებული და ინტერვიუებისას გაჟღერდა - პროგრამის შემუშავების პროცესი ეფუძნებოდა შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს, უნივერსიტეტის მიერ იდენტიფიცირებულ პრიორიტეტებს, უნივერსიტეტის პარტნიორთა შეხედულებებს, დარგობრივ მახასიათებლებს, საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებას. უნივერსიტეტში ჯერ არ ფუნქციონირებს აკადემიური საბჭო.

ინტერვიუების შედეგებმა აჩვენა, რომ რეგიონის პარტნიორ უნივერსიტეტებს არ აქვთ სტომატოლოგიისა და რეაბილიტაციის პროგრამები ინგლისურ ენაზე. ეს ვითარება გახდა ახალი პროგრამების შეთავაზების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი.

მეორე მხრივ, ინტერვიუების დროს არ გამოვლინდა დამსაქმებლების ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განხორციელებაში. მათ განაცხადეს, რომ უფრო მეტად ხელს შეუწყობენ სწავლების პრაქტიკული ნაწილის განხორციელებას, ვიდრე თეორიულს. ასევე, მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია სილაბუსებისა თუ თავად საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. პროგრამების დიზაინი კარგადაა შედგენილი, თუმცა აკადემიური და მოწვეული პერსონალი არ იყო სათანადოდ ჩართული ამ პროცესში.

კრედიტები კლინიკური და პრაქტიკული უნარებისათვის წარმოადგენს საერთო კრედიტების (300 კრედიტი) 50%-ზე მეტს.

უნივერსიტეტს გააჩნია განსაკუთრებული საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურები. ეს პროგრამები წარმოადგენენ საგანმანათლებლო კურსების/კომპონენტების კომბინაციას, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებს, საჭიროებებსა და აკადემიური სწავლების დონეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიცირებისა და შეწყვეტის წესი, დანართი 3.1.
2. დასაქმების ბაზრის კვლევა, დანართი 1.1.
3. საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა და სილაბუსები - ერთსაფეხურიანი პროგრამა "დიპლომირებული სტომატოლოგის" კვალიფიკაციის მინიჭებით (ქართულ და ინგლისურ ენებზე); საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა და სილაბუსები - ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია", დანართი 3.2.2.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, დანართი 3.6.
5. ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- უზრუნველყავით საგანმანათლებლო პროგრამების დეტალური გაცნობა აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის.
- გააუმჯობესეთ თანამშრომლობა დასაქმებულებთან და უზრუნველყავით მათი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაში.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- o პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- o ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს სამივე პროგრამა ეფუძნება კანონმდებლობასა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემას (ECTS). ერთსაფეხურიანი "დიპლომირებული სტომატოლოგის" ორივე პროგრამა (ქართულად და ინგლისურად) წარმოდგენილია 300 ECTS კრედიტით. "ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვანი პროგრამა წარმოდგენილია 240 ECTS კრედიტით.

თვითშეფასების ანგარიში და შესაბამისი დანართები მიუთითებენ, რომ ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს ინგლისური ენის ცოდნის (B2) დადასტურება.

სწავლის შედეგები განსაზღვრულია თითოეული კურსისათვის და აღწერილია სილაბუსებში. თითოეული პროგრამის კურიკულუმი აღწერს კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების განაწილებას. პროგრამის აღწერილობა მოიცავს ასევე

კომპეტენციების რუკას. სწავლის შედეგები ეფუძნება დარგობრივ მახასიათებლებს და შემუშავებულია კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად; უსდ სტუდენტებს სთავაზობს ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებს, რაც ითვალისწინებს სწავლა-სწავლების სხვადასხვა ფორმატს/პირობებს სტუდენტთა განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მზაობის შესაბამისად; უსდ-ს ასევე შეუძლია საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებს შესთავაზოს ადაპტირებული გარემო და შესაბამისი ადამიანური რესურსები.

"დიპლომირებული სტომატოლოგის" პროგრამაში 192 კრედიტი 300-დან განკუთვნილია კლინიკური როტაციისათვის და 6 კრედიტი არჩევითი კურსებისათვის; "ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" პროგრამაში 209 კრედიტი 240-დან ემდგნება დარგის შესწავლას და 6 კრედიტი არჩევით კურსებს. თითოეული პროგრამის კომპონენტების მოცულობა განისაზღვრება მათი შინაარსით, სწავლის შედეგებითა და დარგის სპეციფიკით.

"დიპლომირებული სტომატოლოგის" პროგრამის პერსონალმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი სახელმძღვანელო სილაბუსებში მოძველებულია და ისინი აპირებენ სასწავლო მასალის განახლებას.

პროგრამით განსაზღვრული აქტივობების მდგრადობასთან მიმართებით, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ აკადემიური პერსონალის ნაწილი მუშაობს თბილისში.

ინტერვიუსას აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ ისინი მზად არიან ჩამოვიდნენ პარასკევს და შაბათს ლექციებისა და სემინარების ჩასატარებლად. ამგვარი გრაფიკი მოიცავს გარკვეულ რისკებს და შესაძლოა მოუხერხებელი იყოს სტუდენტებისათვის. "ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" პროგრამის ხელმძღვანელი პირველად იკავებს მოწინავე პოზიციას პროგრამის მართვაში.

ზოგიერთი აკადემიური და მოწვეული პერსონალი ავტორიზაციის ვიზიტისას პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. მათ გამოთქვეს კმაყოფილება პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების მიმართ და რეაბილიტაციის ახალი მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებით.

უსდ-ს გააჩნია მოთხოვნა სტუდენტთა ენობრივ კომპეტენციასთან დაკავშირებით. თუმცა ინტერვიუს დროს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ნაწილმა ვერ შეძლო თავიანთი მოსაზრებების გადმოცემა ინგლისურად; როგორც ვიზიტის დროს აღინიშნა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, დაწესებულება დაგეგმავს ინგლისური ენის კურსებს პერსონალისთვის.

ინტერვიუების პროცესში გამოვლინდა, რომ აფილირებული და მოწვეული პერსონალი სათანადოდ არ იცნობს შეფასებისა და სწავლების მეთოდებს. თუმცა, დაწესებულება გეგმავს ტრენინგების ორგანიზებას სწავლების ახალ მეთოდებზე, როგორცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) ან სხვა პედაგოგიური მიდგომები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სილაბუსებისა და საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობები - ერთსაფეხურიანი "დიპლომირებული სტომატოლოგის" (ქართულ და ინგლისურენოვანი) პროგრამა;
2. სილაბუსებისა და საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობები - ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია", პროგრამის სილაბუსები. დანართი 3.2.2.
3. ენის კომპეტენციის განსაზღვრის წესი (ქართული), დანართი 3.5.
4. ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- განიხილეთ პროგრამები და შესაბამისი სილაბუსები უნივერსიტეტის აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობით
- უზრუნველყავით პროგრამები შესაბამისი სამედიცინო სასწავლო ლიტერატურით

რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.3 სწავლის შედეგების შეფასება უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შეფასების სისტემა და მასთან დაკავშირებული რეგულაციები მკაფიოდაა აღწერილი და შეესაბამება საქართველოს სამართლებრივ აქტებს. ისინი შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის No. 3 ბრძანებას "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ". შეფასების რეგულაციები ხელმისაწვდომია ელექტრონულად. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა არ ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას. შეფასება უნდა იყოს უფრო პრაქტიკაზე ორიენტირებული და საბოლოო გამოცდა უნდა მოიცავდეს პრაქტიკული კლინიკური უნარების კომპონენტებს. უნივერსიტეტის წესების თანახმად, კრედიტების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსში წარმოდგენილი თემების დასრულების შემდეგ, თუკი შეფასება დადებითია. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებთან დაკავშირებული კრედიტები უნდა იქნეს მოპოვებული ერთი სემესტრის განმავლობაში. ინტერვიუების პროცესში აკადემიურმა პერსონალმა ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდა გარკვეული ინფორმაცია შეფასების მეთოდების შესახებ, თუმცა პასუხები არ იყო ერთგვაროვანი. ზოგიერთმა აღნიშნა ახალი მეთოდების გამოყენება პროგრამისა და სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პროგრამები არ ითვალისწინებენ სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს (საბაკალავრო ნაშრომს და სხვ.). შესაბამისად, უნივერსიტეტს ამ დრომდე არ დაუგეგმავს ამ კომპონენტის განხორციელება და შეფასება. მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. სასწავლო პროცესის რეგულაციები, დანართი 2.26. 2. საგამოცდო ინსტრუქცია, დანართი 3.7. 3. საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა და სილაბუსები - ერთ-ციკლიანი პროგრამა "დიპლომირებული სტომატოლოგის" კვალიფიკაციის მინიჭებით (ქართულ და ინგლისურ ენებზე); საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა და სილაბუსები - ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია", დანართი 3.2.2. რეკომენდაციები: • შეაფასეთ სწავლის შედეგები და შეიმუშავეთ კლინიკური პრაქტიკის შეფასების მეთოდები საბოლოო გამოცდისთვის

რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/სამემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა

- o უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.
- o უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოადგენს უნივერსიტეტის ყველაზე ძლიერ მხარეს.

უსდ-ს შემუშავებული აქვს პერსონალის განვითარებაზე ფოკუსირებული მართვის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს პერსონალის მართვის ზოგად პრინციპებსა და წესებს; თანამშრომელთა დანიშვნის გამჭვირვალე და ობიექტურ პროცედურებს; აფილირების პირობებსა და ვადებს; პერსონალის განვითარების სტრატეგიასა და მიდგომებს; შრომის ანაზღაურებისა და წახალისების წინასწარ განსაზღვრულ პრინციპებს, რომელიც ითვალისწინებს დასაქმებულის საქმიანობის შეფასების შედეგებს; ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოში ინტეგრირებისა და სამუშაო პროცესში ეფექტიანად ჩართვის პროცედურებს. ყოველივე ზემოაღნიშნული შეესაბამება ადამიანური რესურსების მართვის მსოფლიო სტანდარტებს. თუმცა აღნიშნული პოლიტიკა უფრო ორიენტირებულია სამეცნიერო პერსონალზე, მაშინ როდესაც ადმინისტრაციულ პერსონალს ნაკლები ყურადღება ეთმობა. სამუშაოს აღწერილობა არის ძალიან დეტალური და ორგანიზებული. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, უნივერსიტეტი აცნობიერებს, რომ მას აქვს სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც უნდა განახორციელოს. თუმცა, პერსონალის ნაწილი ამ როლს ვერ აცნობიერებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. პერსონალის მართვის პოლიტიკა (დანართი 4.1.1)
2. უნივერსიტეტის პერსონალის სტატისტიკა (დანართი 4.1.1)
3. პერსონალის ფუნქციები და სამუშაოს აღწერილობა (დანართი 4.1.2)
4. პერსონალის პირადი საქმეები (დანართი 4.1.2)
5. პერსონალის კონტრაქტის ნიმუშები (დანართი 4.1.2)

6. ინტერვიუს შედეგები ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სამსახურის და იურიდიული სამსახურის წარმომადგენლებთან, დეკანთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, თვითშეფასების გუნდთან;
რეკომენდაციები: • შეიმუშავეთ აკადემიური პერსონალის მართვის ანალოგიური პროცესები ადმინისტრაციული პერსონალისათვის
რჩევები: განიხილეთ დაჯილდოების ზოგიერთი ფორმის/სამოტივაციო ფაქტორების დანერგვის საკითხი. მათ შორის ისეთი საკითხები, რომლებიც არ უკავშირდება ფულად ანაზღაურებას.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): დეტალური და კარგად ორგანიზებული სამუშაოს აღწერილობები.
შეფასება ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2.აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა
უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უსდ-ს გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა. ლექტორები თბილისიდან უზრუნველყოფენ თეორიულ კონტენტს (ლექციებს). პრაქტიკული კურსები ტარდება ადგილობრივი პერსონალის მიერ (მოწვეული ლექტორები). აკადემიური პერსონალის უმეტესობა ჩართულია საგანმანათლებლო აქტივობებში სხვადასხვა უნივერსიტეტში. ინტერვიუს დროს, აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ ისინი მზად არიან ჩამოვიდნენ პარასკევსა და შაბათს ლექციებისა თუ პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად. ამჟამად, აკადემიური პერსონალის რაოდენობისა და დატვირთვის, და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თბილისიდან პერსონალი ატარებს მხოლოდ 1-2 კვირიან კურსებს ("კურაციები"), რაც ნიშნავს, რომ ისინი ბათუმს ეწვევიან სემესტრში მხოლოდ 1-2 კვირით, თეორიულად შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამების მართვა. თუმცა აკადემიური პერსონალის შეზღუდული პერიოდით ბათუმში ყოფნამ შესაძლებელია სირთულეები შეუქმნას სტუდენტებს. მეტიც, ცვლილებები არის განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების განსაზღვრისა და პერსონალის მხარდაჭერის მხრივ. პროგრამის შემუშავების პროცესში, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, უნივერსიტეტმა გაითვალისწინა პროგრამების სპეციფიურობა. შერჩევის პროცესში გათვალისწინებული იქნა საერთაშორისო გამოცდილებაც. ჩატარდა ორი კონკურსი და დაწესებულებამ გამოიყენა ყველა რესურსი პერსონალის მოსაზიდად. ინტერვიუებიდან ნათელი გახდა, რომ პერსონალის ნაწილს არ გააჩნია მოტივაცია აფილირდეს უნივერსიტეტთან. მეტიც, ეს გამოვლინდა იმ პირებთან მიმართებით, რომლებსაც უკავიათ მაღალი აკადემიური პოზიციები თბილისში და აქვთ წარმატებული კარიერა სამედიცინო სფეროში. ამჟამად, უნივერსიტეტს ჰყავს 18 აფილირებული პერსონალი (მთელი პერსონალის 16.3% და აკადემიური პერსონალის 47.3%). აკადემიური პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის პროცესი დოკუმენტირებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის დატვირთვების

სქემა (დანართი 4.2.1) - პერსონალის მართვის პოლიტიკა (დანართი 4.1.1) - უნივერსიტეტის პერსონალის სტატისტიკა (დანართი 4.1.1) - სტუდენტთა კონტინგენტის და აკადემიური პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია. დანართი 2.23. - ინტერვიუს შედეგები ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის და იურიდიული სამსახურის წარმომადგენლებთან, დეკანთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, თვითშეფასების გუნდთან;
რეკომენდაციები: განავითარეთ კვლევით საქმიანობაში აკადემიური პერსონალის ჩართვის პირობები და შესაბამისი პროცესები
რჩევები: შეიმუშავეთ ახალი პერსონალის მოზიდვის სტრატეგიები გაზარდეთ პერსონალის მოტივაცია აფილირების მიზნით
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები.

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1.სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ყველა არსებულ საგანმანათლებლო დონეზე, უნივერსიტეტმა წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია სტუდენტის სტატუსის მინიჭებისა და შეცვლის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, დოკუმენტაციის გაცემის და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე. უნივერსიტეტი გეგმავს, რომ დროულად დანერგოს ყველა ზემოაღნიშნული რეგულაცია სტუდენტთა უფლებების დაცვის მიზნით. რეგულაციები სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე სტუდენტებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის. ინფორმაცია არსებობს, თუმცა ამჟამად, წვდომისთვის საჭიროა პაროლი.

წარმოდგენილი დოკუმენტებით, უნივერსიტეტი გვაწვდის სრულ ინფორმაციას მომავალი სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების შესახებ. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ეთიკის კოდექსი, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე. სტუდენტთა ინფორმირებისთვის, მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, შემუშავებულია მრავალფეროვანი სტრატეგიები. ინფორმაცია მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ არის საჯარო და ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეთათვის. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, წვდომა შეზღუდულია პაროლით.

კონტრაქტი, უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის, მოიცავს მთელ ზემოხსენებულ ინფორმაციას და დეტალურად აღწერს ორივე მხარის უფლებებისა და ვალდებულებების ყველა ასპექტს (მათ შორის ფინანსურს) და განსაზღვრავს დავების მოგვარების გზებს, ასეთის არსებობის შემთხვევებში.

ასევე იგეგმება, რომ სტუდენტური თვითმმართველობა გახდეს სტუდენტთა ინტერესების და უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელი.

მომავალი სტუდენტებისთვის, დაწესებულებას მომზადებული აქვს კვლევა მათი მოსაზრებების შესწავლისა და სერვისების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. უნივერსიტეტის ბრძანება (დანართი 1.2.)
2. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის დებულება (დანართი 2.9);
3. სტუდენტთა ეთიკის კოდექსი (დანართი 2.24.)
4. ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულება (დანართი 2.12.);
5. სასწავლო პროცესის პროცედურა (დანართი 2.26);
6. სტუდენტის კონტრაქტის ნიმუში (დანართი 2.27.)
7. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების და მოდიფიცირების წესები (დანართი 3.1);
8. სტუდენტთა მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესი (დანართი 3.4)
9. თვითშეფასების დოკუმენტი
10. ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- უზრუნველყავით ყველა დოკუმენტის საჯაროდ ხელმისაწვდომობა უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე
- განახორციელეთ ყველა რეგულაცია (სტუდენტის სტატუსის მინიჭება, შეჩერება და შეწყვეტა, მობილობა, კვალიფიკაციის მინიჭება და განათლების აღიარება) გამჭვირვალედ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- 0 სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.

- o უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- o უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- o უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა კონსულტირების, საგანმანათლებლო პროცესისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით სტუდენტთა დახმარების სტრატეგია. დაწესებულებას ასევე შექმნილი აქვს სისტემა, რითაც უზრუნველყოფს საკონსულტაციო სერვისების შესახებ ინფორმაციის გაგზავნას. მობილური მესიჯებისა და ვებ გვერდის საშუალებით, სტუდენტები მიიღებენ ინფორმაციას საგანმანათლებლო პროცესის შესახებ. აღნიშნული სტრატეგიები ხელს უწყობს სტუდენტთა ცნობიერების გაზრდასა და ინფორმაციით უზრუნველყოფას.

უნივერსიტეტს აქვს მემორანდუმები რამდენიმე სტომატოლოგიურ კლინიკასთან და სარეაბილიტაციო საავადმყოფოსთან; როგორც თვითშეფასების დოკუმენტშია ნახსენები და ინტერვიუების დროსაც გამოვლინდა, კარიერული მხარდაჭერის მენეჯერთან და მომავალ დამსაქმებლებთან.

ასეთი სახის თანამშრომლობითი ურთიერთობები ხელს უწყობს საერთაშორისო სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა მომავალ დასაქმებასა და კარიერულ წინსვლას.

ინტერვიუებმა აჩვენა, რომ კარიერული მხარდაჭერის სამსახურის პერსონალი ხელს შეუწყობს დასაქმების ფორუმების, სამუშაო შეხვედრების, კონფერენციებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების ჩატარებას, რათა სტუდენტებმა განივითარონ ის უნარები, რაც მნიშვნელოვანია სტაჟირების პროგრამებსა და პრაქტიკაში მონაწილეობისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. მეორე მხრივ, ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ კლინიკების წარმომადგენლებს/დამსაქმებლებს არ ქონდათ ინფორმაცია სილაბუსების შესახებ, და საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სტაჟირების და პრაქტიკის განხორციელების პროცესის შესახებ.

კარიერული მხარდაჭერის სამსახური გეგმავს თვალყური ადევნოს სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელსა და მინიჭებულ კვალიფიკაციას, ისევე როგორც აკადემიურ განვითარებას.

სამსახური გეგმავს თანამშრომლობას დასაქმების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან, სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ასევე, ინფორმაციის გაცვლას, თემატურად რელევანტურ საქმიანობაში მონაწილეობის მიზნით. მომზადებულია სტუდენტთა კვლევები კარიერული მხარდაჭერის სამსახურის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

დაგეგმილია სტუდენტთა ცნობიერების ამაღლება საერთაშორისო პროექტებისა და მობილობის შესახებ. უწყვეტი განათლების ცენტრი და "კურსდამთავრებულთა კლუბის" წევრები ერთობლივად მოიძიებენ მრავალფეროვან ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებს. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ითანამშრომლებს საერთაშორისო უნივერსიტეტებთან და გაზრდის სტუდენტთა მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში.

გარდა ამისა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ხელს შეუწყობს სტუდენტთა ჩართულობას გაცვლით პროგრამებში.

უნივერსიტეტი, ასევე გეგმავს წვლილი შეიტანოს სტუდენტთა მიერ ინიცირებული კლასგარეშე აქტივობების განხორციელებაში. ამ მიზნითაც, მომზადებულია სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარები.

დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტებისათვის შემუშავებულია

დახმარების მექანიზმები, რაც საჯარო ინფორმაციაა და ხელმისაწვდომია. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს სტიპენდიებს ოქროს და ვერცხლის მედალის მფლობელებისთვის, სტუდენტებისთვის, რომელთაც აქვთ კარგი აკადემიური მოსწრება წინა სემესტრის მონაცემებით, ასევე განსხვავებული სწავლის გადასახადის ოდენობა ერთი ოჯახის წარმომადგენლებისთვის. კვლევები მომზადებულია და დაგეგმილია მათი ჩატარება. სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახური არ სთავაზობს სტუდენტებს ფსიქოლოგის კონსულტაციას და სტუდენტ-მენტორთა "Help Desk" მექანიზმებს, რითაც სტუდენტები დაეხმარებიან ახალჩარიცხულებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. უნივერსიტეტის ბრძანება (დანართი 1.2). 2. სტრატეგიული განვითარების გეგმა (დანართი 1.4.) 3. სამოქმედო გეგმა (დანართი 1.5); 4. საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაოს აღწერილობა (დანართი 2.3); 5. სტრუქტურული ერთეულების ბრძანებები (დანართი 2.6. -2.19.) 6. სასწავლო პროცესის რეგულირების წესი (დანართი 2.26) 7. ინდივიდუალური პროგრამების შემუშავების წესი (დანართი 3.6.); 8. ელექტრონული პროგრამების განხორციელება (დანართი 5.1.) 9. თვითშეფასების დოკუმენტები 10. ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • ჩაატარეთ ყველა დაგეგმილი სტუდენტთა კვლევა და მიღებული შედეგები გამოიყენეთ შიდა ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის • განახორციელეთ სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისები • ჩართეთ უნივერსიტეტის დეპარტამენტები სტუდენტთა მიერ ინიცირებული პროექტებისა და კლასგარეშე აქტივობების განხორციელებაში. • ყურადღება მიაქციეთ დასაქმების მაჩვენებელს, აკადემიურ განვითარებასა და მინიჭებულ კვალიფიკაციებს
რჩევები: გააუმჯობესეთ მომსახურების ხარისხი სტუდენტ-მენტორთა "Help Desk" და ფსიქოლოგიური კონსულტაციის მომსახურების განხორციელებით. განახორციელეთ ყველა მხარდაჭერის სერვისი დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის და გაანალიზეთ სტატისტიკური მონაცემები
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკის განხორციელების მიზნით, კავშირები დარგის წარმომადგენლებთან
შეფასება ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშეწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა

- o უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. - o სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. - o უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულება წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტს. მიუხედავად ამისა, როგორც ეს აღნიშნულია თვითშეფასების ანგარიშში, ავტორიზაციის შემდეგ კვლევითი აქტივობები იქნება უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტი. თუმცა, უნივერსიტეტს ჯერ არ აქვს სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამა. კვლევასთან დაკავშირებული გამოწვევების გათვალისწინებით, უნივერსიტეტი გეგმავს კვლევითი პოტენციალის გაზრდას; მეტად მნიშვნელოვანია რამდენიმე მიმართულებით მუშაობა. უნივერსიტეტს სურს სხვადასხვა ორგანიზაციასთან პარტნიორული ურთიერთობების განმტკიცება. დოკუმენტების თანახმად (დანართები 1.2; 1.7; 1.5) უნივერსიტეტი გეგმავს დაუკავშირდეს სხვა უნივერსიტეტებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, ერთობლივი კვლევითი ქსელისა და პროექტების განხორციელების მიზნით, თუმცა ეს დაიწყება მხოლოდ 2020 წლიდან. უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს კვლევის დაფინანსებას (დანართი 1.7) და გაზრდის კვლევის მხარდაჭერას 10000 ლარიდან (2018 წელს) 20000 ლარამდე ყოველწლიურად. ჯამში, 7 წლის განმავლობაში უნივერსიტეტი გეგმავს კვლევით აქტივობებზე 150 000 ლარის დახარჯვას. თვითშეფასების ანგარიშისა და ინტერვიუების თანახმად, უნივერსიტეტი დახარჯავს წლიური ბიუჯეტის 4% კვლევაზე, თუმცა რომელი ლაბორატორიები ან კლინიკური კვლევები იქნება დაფინანსებული, ჯერ არაა აღწერილი. დოკუმენტების ანალიზზე და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ დაწესებულებას არ მოუხდენია კვლევის პრიორიტეტების განსაზღვრა ან კვლევის ფოკუსის იდენტიფიცირება, და არ არსებობს ნათელი პასუხი, თუ როგორ შეუწყობს ხელს კვლევა პროგრამების კურიკულუმების შემდგომ განვითარებას. ინტერვიუების მსვლელობაში აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ მათი კვლევითი პრიორიტეტები განსაზღვრულ იქნება სტუდენტის მიერ, მაგალითად, სტუდენტი აირჩევს თემას და პროფესორი დაეხმარება კვლევის ჩატარებაში ამ მიმართულებით. გაურკვეველია, თუ როგორ დაეხმარება პროფესორი სტუდენტს თუკი მას არ აქვს განსაზღვრული კვლევის პრიორიტეტები. ასევე, კურიკულუმებში კვლევითი კომპონენტი მინიმალურია და კვლევის შედეგები არ იქნება ინტეგრირებული სწავლის პროცესში. მეტიც, ინტერვიუებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით (აფილირებული აკადემიური პერსონალის CV-ები), ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ დაწესებულებას არ ჰყავს შესაბამისი აკადემიური პერსონალი კვლევითი აქტივობების დასაწყებად, რომლის მიზანია ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ინდუსტრიული და სხვა ინოვაციური განვითარება. გარდა ამისა, აკადემიურმა პერსონალმა ვერ დაასახელა თუ სად არის გამოქვეყნებული მათი კვლევითი სტატიები (სამეცნიერო ჟურნალების სახელწოდებები, ამ ჟურნალების რეიტინგი და სხვ.). ამგვარად, უნივერსიტეტში ვერ გამოვლინდა კვლევითი კულტურის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. უნივერსიტეტის ბრძანება (დანართი 1.2). 2. სტრატეგიული განვითარების გეგმა (დანართი 1.4.)

3. ბიზნეს გეგმა (დანართი 1.7.); 4. სამოქმედო გეგმა (დანართი 1.5) 5. პერსონალთან გაფორმებული კონტრაქტის ნიმუშები (დანართი 2.28.); 6. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის/დანიშვნის წესი (დანართი 2.29.); 7. აკადემიური პერსონალის აქტივობებზე ინფორმაცია (დანართი 6.1.) 8. ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- მოამზადეთ დეტალური და თანმიმდევრული მიდგომა კვლევით აქტივობებთან მიმართებით, რომელიც შესაბამისობაში იქნება უნივერსიტეტის მისიასთან და ხედვასთან
- განსაზღვრეთ უნივერსიტეტის კვლევის ფოკუსი და პრიორიტეტები
- მოახდინეთ ფოკუსირება კვლევით აქტივობებზე; ასევე, საჭიროა ფაკულტეტის განვითარების ფარგლებში უზრუნველყოთ კვლევის ხელმძღვანელებისა და კვლევითი ნაშრომების შეფასებაში ჩართულ პირთა მომზადება და მენტორობა
- დაარსეთ და განავითარეთ კვლევითი ლაბორატორიები სტუდენტებისთვის;
- უზრუნველყავით, რომ ყველა კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს კვლევითი აქტივობები
- უზრუნველყავით კვლევის შედეგების ინტეგრირება სწავლების პროცესში;
- დაამყარეთ თანამშრომლობა კვლევით ინსტიტუტებთან და სხვა უნივერსიტეტებთან

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- o უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- o ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- o უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ კვლევითი აქტივობების განვითარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგანმანათლებლო პროცესში. პირველ ეტაპზე, კვლევითი საქმიანობის მართვა დელეგირებული იქნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურზე. თუმცა, საგანმანათლებლო პროცესის დაწყების შემდეგ, შეიქმნება კვლევისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური (დანართი 1.4, 1.5). კვლევითი ცენტრი ხელს შეუწყობს "გამოყენებითი კვლევის ჩატარებას, განსაკუთრებით ჯანდაცვის სფეროში და საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ". ცენტრი ითანამშრომლებს ყველა შესაბამის ორგანიზაციასთან რეგიონში, ეროვნულ და საერთაშორისო მასშტაბით და ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას. უნივერსიტეტი გეგმავს (7-წლიანი სამოქმედო გეგმა) ტრენინგების

ორგანიზებას შემდეგ თემებზე: ა) სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დაწერა; ბ) სამეცნიერო გრანტის მართვა; გ) სამეცნიერო აკადემიური უნარები და სხვ. (2019 წ. დანართი 1.5).

უნივერსიტეტის (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის) აქტივობები ფოკუსირებული იქნება სწავლებისა და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაზე. უნივერსიტეტს გააჩნია ინტერნაციონალიზაციის ხედვა, მათ შორის კვლევის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ერთ-ერთი აქტივობაა უნივერსიტეტის ინტეგრირება საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში და ურთიერთობების განვითარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, კვლევით ინსტიტუტებთან, სამეცნიერო ცენტრებთან და ტექნო-პარკებთან; უნივერსიტეტის გაწევრიანება საერთაშორისო ასოციაციებსა და ქსელებში და უნივერსიტეტის როლის გაზრდა; ურთიერთობა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიებთან, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან და სხვ.

თუმცა, უნივერსიტეტი იმყოფება კვლევების ინტერნაციონალიზაციის ადრეულ სტადიაზე, ისევე, როგორც უნივერსიტეტის საქმიანობაში კვლევის ინტეგრირების მხრივ. საქმიანობის ეს მიმართულება უნდა წახალისდეს.

როგორც ვიზიტისას გამოვლინდა, დაწესებულებაში კვლევითი ინფრასტრუქტურა არ არის განვითარებული (არ არის ლაბორატორიები თუ სამუშაო სივრცეები, ისევე, როგორც აღჭურვილობა); კვლევითი ჟურნალები ან სტატიები არ არსებობს ან წვდომა ძალიან შეზღუდულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. უნივერსიტეტის წესდება (დანართი 1.2).
2. სტრატეგიული განვითარების გეგმა (დანართი 1.4).
3. სამოქმედო გეგმა (დანართი 1.5.)
4. მართვის პოლიტიკა (დანართი 2.2.)
5. უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (დანართი 2.20);
6. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის/დანიშვნის წესი (დანართი 2.29.);
7. ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- დაარსეთ კვლევების დამხმარე ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს კვლევითი ინიციატივებს დაფინანსებას, სამართლიანი და გამჭვირვალე გზით.
- მოიძიეთ გარე პარტნიორები (ადგილობრივი და საერთაშორისო) გარე დაფინანსების მოპოვების მიზნით (მაგ. ჰორიზონტი 2020 (Horizon 2020)) კვლევით სფეროში დამკვიდრებისთვის
- გაზარდეთ კვლევითი აქტივობების მხარდამჭერი ღონისძიებები აკადემიური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით
- შეიმუშავეთ სტრატეგიული მიდგომა აკადემიური პერსონალისთვის კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული მიზნობრივი დაფინანსებისა და რესურსების გამოყოფის მიზნით
- მოამზადეთ მკვლევარები საკვლევი კითხვის ფორმულირების, მეთოდოლოგიის და მონაცემთან ანალიზის მიმართულებით

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
6.3.კვლევითი საქმიანობის შეფასება
უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს ჯერ არ აქვს შეფასებული კვლევითი საქმიანობა, თუმცა პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმები წარმოდგენილია უნივერსიტეტის რეგულაციებში. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტი შეიმუშავებს და განახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან ერთად, უზრუნველყოფს შეფასებას გამოკითხვების საშუალებით, რომელიც მოიცავს კითხვარს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: ❏ "სამეცნიერო-კვლევითი პროექტები/გრანტების რაოდენობა წლების მიხედვით და მათი ანალიზი; ❏ უნივერსიტეტის სახელით გამოქვეყნებულ პუბლიკაციების რაოდენობა და მათი ანალიზი; ❏ აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის შესახებ ❏ სამეცნიერო კვლევების დაფინანსება წლების მიხედვით და მათი ანალიზი“ მიუხედავად ამისა, ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ უნივერსიტეტს მკაფიოდ არ ესმის როგორ გაანალიზოს კვლევის ხარისხი და კვლევასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები ეფექტურობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით. შეხვედრებმა ასევე აჩვენა, რომ ცოდნა კვლევის შეფასების არსებულ სისტემასთან დაკავშირებით ძალიან მწირია. დაწესებულება საჭიროებს ინტეგრირებული კვლევის შეფასების სისტემის შექმნას და შესაბამისი ცოდნის გავრცელებას აკადემიურ საზოგადოებაში. საბოლოოდ, აუცილებელია აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით ცოდნის გაზიარება, რათა მათ შეძლონ კვლევითი საქმიანობის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. უნივერსიტეტის წესდება (დანართი 1.2). 2. სტრატეგიული განვითარების გეგმა (დანართი 1.4). 3. სამოქმედო გეგმა (დანართი 1.5.) 4. მართვის პოლიტიკა (დანართი 2.2.) 5. უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (დანართი 2.20); 6. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის/დანიშვნის წესი (დანართი 2.29.); 7. ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • შეიმუშავეთ კვლევის განვითარების თანმიმდევრული სტრატეგია და შეფასების მექანიზმები • შეიმუშავეთ სტრატეგიული მიდგომა კვლევის დაფინანსებასთან მიმართებით

კვლევითი საკითხებისა და არსებულ რესურსების გათვალისწინებით • შეიმუშავეთ კვლევითი პროექტის შეფასების წესი • უზრუნველყავით ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება და ტრენინგი კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით • უნივერსიტეტმა უნდა დასახოს პრიორიტეტები კვლევაში მისი სტრატეგიისა და ინსტიტუციური პოლიტიკის შესაბამისად - ეს შესაძლებელია გაკეთდეს სხვა უნივერსიტეტების პრაქტიკის გაზიარების გზით
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსები

- o უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. - o დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. - o დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. - o დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა 7.1 სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით რელევანტური ინფორმაცია თვითშეფასების დოკუმენტში, თუმცა ვიზიტის დროს გაირკვა, რომ შენობა იჯარით აქვს გადაცემული და წარმოდგენილი იყო რეესტრიდან შესაბამისი ამონაწერი. უნივერსიტეტი განთავსებულია შენობის 3-4 სართულებზე, ხოლო შესასვლელი საერთო აქვს სხვა დაწესებულებებთან. უნივერსიტეტს აქვს სალექციო ოთახები თეორიული მეცადინეობისთვის, ადმინისტრაციული ოფისები, სივრცე ჯგუფური მუშაობისათვის, სანიტარულ/ჰიგიენური კვანძები, ბიბლიოთეკა, დარგისათვის სპეციფიკური ლაბორატორიები, სასწავლო ოთახები. მცირე სასადილო განთავსებულია მე-4 სართულზე.

საგანმანათლებლო სივრცე აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამისათვის აუცილებელი რესურსებით, მათ შორის სასწავლო/პრაქტიკული კომპონენტით, IT მოწყობილობებით.

"ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის" პროგრამის კლინიკური აქტივობებისათვის უნივერსიტეტს აქვს ხელშეკრულება ბათუმის საავადმყოფოებთან და ამბულატორიებთან.

"დიპლომირებული სტომატოლოგის" პროგრამისათვის გაფორმებულია ხელშეკრულებები სტომატოლოგიურ კლინიკებთან, სადაც, პედაგოგის ზედამხედველობით, პაციენტთან

პრაქტიკული მუშაობისთვის სივრცე საკმარისია. თუმცა, არ არის საკმარისი სივრცე სტუდენტებთან დისკუსიის გამართვისთვის ან სწავლა-სწავლების აქტივობებისთვის.

სტომატოლოგიური კლინიკების უმეტესობა სრულადაა აღჭურვილი და მომზადებული სტუდენტთა მისაღებად. რეაბილიტაციის მიმართულებით, ზოგიერთი ჰოსპიტალი არის მოძველებული, საჭიროებს სივრცის ან აღჭურვილობის განახლებას ხარისხის გაუმჯობესების მიზნით (რათა დააკმაყოფილონ სათანადო კრიტერიუმები როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული ცოდნის ხელშესაწყობად).

დაწესებულება უზრუნველყოფილია უწყვეტი დენის მიწოდების სისტემით; შენობის სანიტარულ კვანძებს წყალი მიეწოდება უწყვეტად, ხოლო მათი დასუფთავება სათანადოაა ორგანიზებული. დაწესებულებას აქვს უწყვეტი ხელოვნური განათება და ვენტილაცია; თითოეულ საკლასო ოთახს გააჩნია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობები.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ლოჯისტიკის და დაცვის სამსახურის რეგულაციები და უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის წესები. ასევე, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები; აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით;

ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა განთავსებულია შენობის თითოეულ სართულზე, თვალსაჩინო ადგილას, გამოყენების დეტალური ინსტრუქციის გარეშე. თუმცა სსსუ-ს აქვს კომპეტენტური სააგენტოების მიერ დამტკიცებული ევაკუაციის გეგმები თითოეული სართულისათვის; შენობას გააჩნია დამატებითი საგანგებო გამოსასვლელები.

ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი აღჭურვილობით, ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ბუნებრივი ვენტილაციით, ცივი და ცხელი წყლის უწყვეტი მიწოდებით.

წესრიგის დასაცავად, დაწესებულებას გააჩნია მთელი შენობის შიგნით დამონტაჟებული უსაფრთხოების ვიდეო ჩამწერები და შენახვის სიმძლავრეები.

განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებს შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილება და მოძრაობა შენობის ირგვლივ. შემოსასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი, ხოლო ლიფტის მეშვეობით შესაძლებელია უნივერსიტეტის სასწავლო და ადმინისტრაციულ სივრცეში ასვლა. შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის, დაწესებულებას გააჩნია სპეციალურად ადაპტირებული სანიტარული კვანძები (მხოლოდ მე-3 სართულზე), რომლებიც აღჭურვილია ცალმხრივი დამხმარე სახელოებით. უნივერსიტეტს შეუძლია სპეციალური ავტოსადგომის მოწყობა შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის, რაც ხელს შეუწყობს მათ გადაადგილებას.

ბიბლიოთეკაში არაა საკმარისი სივრცე, თუმცა დაგეგმილია ახალი შენობის მშენებლობა, რაც ამ პრობლემას მოაგვარებს.

საბოლოოდ, რთულია განისაზღვროს რამდენად საკმარისია დაწესებულების მატერიალური რესურსები იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არსებულ ინფრასტრუქტურას შეუძლია 50 სტუდენტის მიღება (საწყის ეტაპზე), მაგრამ დაგეგმილია ახალი შენობის მშენებლობა, რომელიც შეძლებს მეტი სტუდენტის მიღებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ლოჯისტიკისა და უსაფრთხოების სამსახურის რეგულაცია (ქართული), დანართი 2.17.
2. უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის წესები, დანართი 7.4.
3. ამონაწერი რეესტრიდან (ქართული)
4. ევაკუაციის გეგმა (ქართული)
5. ვიდეო-კამერების მიღება-ჩაბარების აქტი (ქართული)

რეკომენდაციები: • გააფართოვეთ საბიბლიოთეკო სივრცე • გააკეთეთ შენობის ორივე სართულზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სპეციალურად ადაპტირებული სანიტარული კვანძები
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
7.2.საბიბლიოთეკო რესურსები
ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტმა წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს არსებული ინვენტარისა და რესურსების ფლობას. ამჟამად, ბიბლიოთეკა აღჭურვილია დაახლოებით 35 ადამიანისათვის. პრინტერები, ასლის გადამღები მანქანები, სკანერები და ინტერნეტთან მიერთებული კომპიუტერები, ისევე, როგორც ბიბლიოთეკის Wi-Fi -ხელმისაწვდომია. ბიბლიოთეკის გარემო დამაკმაყოფილებელია; თანამედროვე მოთხოვნებს სრულყოფილად ვერ პასუხებს, ასევე, არ არსებობს სარელაქსაციო სივრცე. საბიბლიოთეკო რესურსების ჯეროვნად გამოყენების მიზნით, უნივერსიტეტს შექმნილი აქვს შესაბამისი რეგულაციები და ინსტრუქციები, და გეგმავს გაავრცელოს ინფორმაცია მომავალ აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების მიზნით, უნივერსიტეტი გეგმავს შემდეგ მექანიზმებს: საორიენტაციო შეხვედრები, კონსულტაცია, ვორქშოფები და ტრენინგები. ელექტრონული კატალოგი შექმნილია და გამოქვეყნებულია ვებ გვერდზე. ელექტრონული კატალოგითა და ელექტრონული საძიებო სისტემით ამჟამად სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ ბიბლიოთეკის პერსონალს, თუმცა ელექტრონული კატალოგი სტუდენტებისთვის შემუშავების პროცესშია და ამუშავდება ახლო მომავალში. უნივერსიტეტს დადებული აქვს ხელშეკრულება OpenBiblio-სთან, რომელიც უზრუნველყოფს ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო მომსახურებას და ორ-დღიან ტრენინგს ბიბლიოთეკის პერსონალისათვის. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრულ ლიტერატურას, რომლებიც ასახულია სილაბუსებში. მეორეს მხრივ, ზოგიერთი წიგნი საჭიროებს ახალი ვერსიებით ჩანაცვლებას, რათა ხელი შეეწყოს სწავლებას თანამედროვე სამედიცინო ლიტერატურის გამოყენებით. ელექტრონული წიგნების რაოდენობა აჭარბებს ნაბეჭდი წიგნების რაოდენობას. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ბიბლიოთეკა ფლობს დაახლოებით 335 ნაბეჭდ წიგნს, თუმცა ვიზიტისას ექსპერტებმა ვერ ნახა ამ რაოდენობის ნაბეჭდი წიგნები. ბიბლიოთეკა ოფიციალურ ვებ გვერდზე აქვეყნებს საერთაშორისო საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზების ლინკებს; ეს წვდომაც, ასევე, არის დოკუმენტირებული. პერსონალსა და სტუდენტებს ყველა საერთაშორისო საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებზე

წვდომის, მასალის მაქსიმალურად გამოყენების ან სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისა და სწავლების მიზნით გადაეცემათ პაროლები.

როგორც ეს ფინანსურ დოკუმენტშია აღნიშნული, ბიბლიოთეკისთვის და მისი სერვისის მხარდაჭერისთვის ყოველწლიურად გამოიყოფა 1930 ლარი. ეს ძალიან მცირე თანხაა იმისათვის, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალი/სტუდენტები მრავალფეროვანი და აუცილებელი საერთაშორისო სამედიცინო ლიტერატურით, სამეცნიერო ჟურნალებით და ასევე, სწავლის შედეგების მისაღწევად. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ კვლევითი აქტივობები მოითხოვს მრავალფეროვან და დიდი მოცულობის მასალას.

სტუდენტთა კმაყოფილების კვლევები საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურასა და წიგნებთან დაკავშირებით უკვე მომზადებულია, რათა ხელი შეეწყოს საბიბლიოთეკო სერვისებისა და შიდა ხარისხის განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. უნივერსიტეტის წესდება (დანართი 1.2).
2. სტრატეგიული განვითარების გეგმა (დანართი 1.4.)
3. ბიზნეს გეგმა (დანართი 1.7.)
4. უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა (დანართი 2.1.)
5. ბიბლიოთეკის დებულება (დანართი 2.13.)
6. პერსონალის პირადი საქმეები (დანართი 2.5);
7. საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 3.2)
8. ლიზინგის ხელშეკრულება, ამონაწერი რეესტრიდან, ნახაზები (დანართი 7.1.)
9. ფინანსური დოკუმენტაციის (დანართი 7.2.)
10. ბიბლიოთეკის განვითარებისა და საბიბლიოთეკო რესურსების განვითარების წესი (დანართი 7.6);
11. ხელსეკრულებები OpenBiblio-სთან (დანართი 7.7.)
12. თვითშეფასების დოკუმენტები
13. ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- გაზარდეთ ფინანსური დახმარება ბიბლიოთეკისთვის, რათა ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარებას დაწესებულებაში
- შეიძინეთ წიგნების უახლესი გამოცემები, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად
- ჩაატარეთ კვლევები სტუდენტთა საჭიროებების გამოსავლენად საბიბლიოთეკო რესურსებთან დაკავშირებით

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსები

- o უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- o ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშეწყობი მექანიზმები.

უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროგრამული უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს ბიზნეს პროცესების შესატყვის IT ინფრასტრუქტურას. IT ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ მომზადების პროცესშია, თუმცა ზოგიერთი პროგრამა უკვე ფუნქციონირებს. არსებობს სტუდენტთა პორტალი, რომელიც ასევე უზრუნველყოფს მათ კონტაქტს აკადემიურ პერსონალთან და წიგნების საცავთან. საქმისწარმოების პროგრამა შემუშავებულია (მაგრამ ჯერ არ ფუნქციონირებს სრულად). საგამოცდო პლატფორმა (MCQ და შეფასების სხვა სახეები) მომზადებულია (სტუდენტებს შეეძლებათ საკუთარი შედეგების უშუალოდ ნახვა), ისევე, როგორც არსებობს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევების ჩატარების შესაძლებლობა (თუმცა აკლია კითხვარი). მონაცემთა საცავი მომზადებულია ყველა სკანირებული დოკუმენტის შესანახად. IT საქმიანობას ახორციელებს ორ-კაციანი გუნდი (ერთი სრულ განაკვეთზე და მეორე კონსულტანტი). ინფორმაციული ტექნოლოგიები მენეჯერული პროცესებისთვის (სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ინსტრუმენტები) ჯერ სრულად არ არის განვითარებული. IT ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება ინტეგრირებულია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში (#2.4). ტექნოლოგიების გამოყენება სწავლების პროცესში არის საწყის ეტაპზე. გარკვეულწილად, IT ინფრასტრუქტურა ორ "დონიანია". პირველია ინტერნეტი - ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ყველა მომხმარებლისათვის, თუმცა კავშირის გარეშე გარე კომპიუტერებთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას მონაცემთა დაცულობა. უსაფრთხოება გაძლიერებულია ანტივირუსული ინსტრუმენტების მეშვეობით. მეორე "დონე" - WIFI-ს გამოყენება, იძლევა გარე კავშირის საშუალებას, თუმცა არა აქვს კავშირი პირველთან. ყოველდღიური მონაცემების დაცულობა (backup) და უწყვეტი ელექტროენერგიის მიწოდების სისტემა უზრუნველყოფილია. დაწესებულებას აქვს ვებ-გვერდი, რომელიც მეტწილად უზრუნველყოფს ინფორმაციას უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა მიმართულებაზე ქართულ და ინგლისურ ენებზე: ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, სასწავლო პროგრამებზე, ჩარიცხვაზე, პერსონალზე, კვლევებზე, უწყვეტ სწავლაზე და სხვ. ვებ გვერდი ასევე ინფორმაციულია საერთაშორისო სტუდენტებისთვისაც. თუმცა, ვებ გვერდი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული სახით და მასზე მიმდინარეობს მუშაობა. ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ ქვე-მენიუს სათაურია მითითებული, ხოლო შესაბამისი ინფორმაცია თანდართული არ არის. თანდართული დოკუმენტების შემთხვევაში, ინფორმაციის მისაღებად, გარე მომხმარებელს დოკუმენტის ჩამოსატვირთად სჭირდება პაროლი. ვებ გვერდი ჯერ სრულყოფილად ხელმისაწვდომი არ არის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. თვითშეფასების ანგარიში 2. IT და პროგრამული უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (დანართი 2.18) 3. სტრატეგიული გეგმა (დანართი 1.4)

4. სამოქმედო გეგმა (დანართი 1.5) 5. ვებ გვერდის შემოწმება 6. ინტერვიუს შედეგები
შეფასება ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
რეკომენდაციები: • განავითარეთ IT ინფრასტრუქტურა სრულად, გეგმის შესაბამისად
რჩევები: დანერგეთ ტექნოლოგიები სწავლების პროცესში, რადგან ეს დამატებითი პედაგოგიური ღირებულების მატარებელია დანერგეთ კარგად დამკვიდრებული პლატფორმები (მაგ. Moodle) სწავლების პროცესში
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
7.4 ფინანსური რესურსები - o უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. - o უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას. - o უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე. - o უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება. - o უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ფინანსური რესურსები დღეისათვის არის დამფუძნებელთა ინვესტიციები. სამომავლოდ, რესურსების მიღება ძირითადად გათვალისწინებულია სწავლის გადასახადიდან, თუმცა უნივერსიტეტი გეგმავს ახალი კამპუსის აშენებას, რაც მას დამატებით შემოსავალს მოუტანს, ვინაიდან კამპუსში გათვალისწინებული იქნება სტუდენტთა საცხოვრებელი კომპლექსი. ამ ეტაპზე, ბიუჯეტში გაწერილი ფინანსური სახსრების განაწილება ეკონომიკურად მიღწევადია, ფინანსირების წყაროები დივერსიფიცირებულია და უზრუნველყოფს ადეკვატურ და ეფექტიან რისკების მენეჯმენტს - აღნიშნული დოკუმენტი შექმნილია. უსდ-სათვის ხელმისაწვდომი ფინანსები ადეკვატურია და საკმარისია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში აღწერილი აქტივობების ეფექტიანად განსახორციელებლად. ფინანსური დოკუმენტები ადასტურებს ფინანსური ინფორმაციის სისწორეს, მიუკერძოებლობასა და სისრულეს. უსდ-ს ფინანსური რესურსები საკმარისია სწავლება/სწავლის და ადამიანური რესურსების/ინფრასტრუქტურის მდგრადობისა და შემდგომი განვითარებისათვის, თუმცა არასაკმარისია კვლევების განვითარებისა და ბიბლიოთეკისათვის. უნივერსიტეტს ემსახურება აუდიტორული კომპანია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. უსდ-ს ბიუჯეტი (დანართი 7.4.2) 2. ფუნანსირების დინამიკა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, ფინანსური ანგარიშები

მიმდინარე/გასული საანგარიში პერიოდისათვის (დანართი 7.4.3) 3. პასუხისმგებლობის გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების რეგულაციები (დანართი 7.4.4) 4. ფინანსური მენეჯმენტის განხორციელებისა და კონტროლის სისტემის შესახებ დოკუმენტი (ფინანსური მენეჯმენტისა და კონტროლის სისტემის დანერგვის პოლიტიკა) .(დანართი 7.4.5) 5. ბიზნესის უწყვეტობის გეგმა (დანართი 2.1.3) 6. ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • გაზარდეთ ბიბლიოთეკის ბიუჯეტი და დაფინანსება კვლევითი პროგრამებისთვის
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან